№ 289 | მთავრობის ორგანო | ყოველდღიური გაზეთი | წელიწადი მესამე

# საქართველოს რესპუბლიკა

ფასი 10 მან. | კვირა, დეკემბრის 19 1920 წ.

მთავრობის ორგანო, ყოველდღიური გაზეთი (ოფიციალური და არა ოფიციალური განყოფილებით)

საქართველოს რესპუბლიკა

გაზეთი ღირს თვეში 200 მან., ცალკე ნომერი ყველგან 10 მან. განცხადების ფასი 1-ლ გვ. პეტიტის სტრიქ. 20 მან. 4-ზე გ. 15 მან. სამგლოვიარო განცხ. ჩვეულებრივი, ზომის (15—2) 500 მ., განცხ. საბუთების დაკარგვის შესახებ 260 მ. სასამართლ. უწყ. განცხადებ. ანი 120 მ. ნისია განცხ. დაბეჭდვა ღირს ნიხრზე მეტი 20 %, რედაქციის და კანტ. მისამართი: ტფ., ბარონის ქ. № 6. ტელეფ. 1—81

მიიღება ხელის მოწერა 1921 წ.

გ ა ზ ე თ

## „საქართველოს რესპუბლიკა-ზე“

**გაზეთი თვიურად ეღირება 500 მანეთი, წლიურად 6.000 მან. ცალკე ნომერი 25 მან. ნისიათ გაზეთი არავის გაეგზავნება. გაზეთის ზედმეტი რიცხვი არ დაიბეჭდება.**

---

## ქუთაისის საშუალო სამეურნეო სასწავლებელი

ამით აცხადებს, რომ მას ესაჭიროება ქუთაისის სასწავლებლის მამულში—აჯამეთში მემინდვრეობის განყოფილებისათვის 1) მმართველი ჯამაგირით თვეში 7,800 მან., ბინა, გათბობა და განათება, 2) აღმზრდელი თვიური ჯამაგირით—6,825 მან., 3) სამი სპეციალური საგნების მასწავლებლები—მემინდვრეობის, მებაღეობის და მესაქონლეობის განყოფილებებისათვის თვიური ჯამაგირით—8190 მან., 4) ერთი ლაბორატორი თვიური ჯამაგირით—6825 მან. თანახმად სასწავლებლის დებულებისა ბინა ან ბინის ქირა ჯამაგირის მეათედი მიეცემა ყველა მოსამსახურეებს. მასწავლებლობის და სამეურნეო ნაწილის (ფერმის) გამგის თანამდებობის მიღება შეუძლიათ უმაღლეს კურს დამთავრებულს, აღმზრდელათ—საშუალო სწავლით და ლაბორანტებათ სპეციალურ საშუალო სწავლა მიღებულებსაც.

თხოვნები საბუთებით და მოკლე (curicullum-vitae) უნდა გამოიგზავნოს ქუთაისში სასწავლებლის კანცელარიაში იანვრის 15-დე.

სასწავლებლის პროგრამების გაცნობა შეიძლება „საქართველოს რესპუბლიკაში“, № 246.

სასწავლებლის დირექტორი ვლად. ხოფერია.

1032 4—2

---

## კავკასიის

## ბეჭდვითი საქმის სააქციონერო საზოგადოების გამგეობა

**იწვევს ამ საზოგადოების აქციონერებს**

## წლიურ საერთო კრებაზე

**რომელიც შესდგება კვირას, იანვრის 9-ს, 1920 წ. დილის 12 საათზე**

გაზ. „სლოვოს“ რედაქციის ბინაზე (ბარიათინის ქ., № 6).

**განსახილველი საგნები:**

1) საზოგადოების 1920 წ. ანგარიშისა და ბალანსის განხილვა.
2) განხილვა 1921 წლის ხარჯთ-აღრიცხვის და მოქმედების გეგმის.
3) არჩევა გამგეობის ორი წევრისა და მათი კანდიდატებისა.
4) არჩევა სარევიზიო კომისიის ხუთი წევრისა.
5) მიმდინარე საკითხები.

1038 1—1

---

## ცენტრალური

## სავაჭრო-სამრეწველო ბანკის გამგეობა

**ამით აცხადებს,**

რომ ვინაიდან 6 დეკემბერს დანიშნული საჯარო ვაჭრობა არ შესდგა, ორშაბათს 20 დეკემბერს დილის 12 საათზე ბანკის შენობაში **დანიშნულია მეორე-ჯერ**

## საჯარო ვაჭრობა

უზრუნველსაყოფად მიღებული საქონლების შემდეგი სესხებზე №№ 194, 220, 115 და საგარ. წერილ. № 248|42.

1039 1—1

---

**სახელმწ. თეატრი.**

**ო პ ე რ ა.**

კვირას, 19 დეკემბერს,

## „ფრა-დიავოლო“

ორშაბათს, 20 დეკემბერს „ქეთო და კოტე“, სამშაბათს, 21 დეკემბერს ბალეტის საღამო მორდკინისა „კარნავალი“, ოთხშაბათს, 22 დეკემბერს „გუგენოტი“. დასაწყისი სრულ 8 საათზე საღამოს. 1011 —1

---

20 **დეკემბრიდან**

**ტფილისში ყოველ დღე ხამ საათზე**

**გ ა მ ო ვ ა**

## საინფორმაციო გაზეთი

## „მოამბე“

გაზეთში მოთავსებული იქნება ფართო ინფორმაცია, როგორც ადგილობრივ ისე უცხოეთის ცხოვრებიდან. გაზეთში იქნება აგრეთვე **ლიტერატურულ-იუმორისტული განყოფილება**. გაზეთზე ხელის მოწერა არ მიიღება, **გაიყიდება ნომერი 15 მან.** რედაქციის დროებით მისამართი: დამფუძ. კრების ქ., № 5. ალ. არაბიძეს „მოამბისათვის“.

---

**ოფიციალური განყოფილება.**

---

## განკარგულებანი

**იუსტიციის მინისტრისა.**

3 დეკემბერი, 1920 წ., № 431.

**განთავისუფლებულ იქმნას:** ტფილისის № 2 საპყრობილის უფროსის თანამდებობის დროებითი ასრულებისაგან და დაუბრუნდეს თავის მოვალეობის აღსრულებას ამავე საპყრობილეს უფროსის თანაშემწე მიხეილ პეტრეს ძე სერგეევი ამა წლის დეკემბრის 14-დან.

13 დეკემბერი, 1920 წ., № 441.

**ინიშნება:** გიორგი მღებრიშვილი ბათომის საპყრობილეს ექიმად ამა წლის დეკემბრის 9-დან.

№ 442.

**დაშვებულია:** ბათომის საპყრობილეს უფროსის უფროსი თანაშემწე ნ. ბუთხუზი ტფილისის № 2 საპყრობილეს უფროსის დროებით მოვალეობის აღმასრულებლად.

იუსტიციის მინისტრი **რ. არსენიძე.**

—

**ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრისა.**

9 დეკემბერი, 1920 წ., № 349.

**გადარიცხულ** იქმნას ბათომის თამბაქოს ქარხნის კონტროლიორი ვარლამ შამანდელის ძე ერისთავი ბათომის ოლქის აქციზის ინსპექტორის უფროს თანაშემწედ.

№ 350.

**დანიშნულ** იქმნას იოსებ ვასილის ძე ჯავახიშვილი აქციზის ინსპექტორის უფროს თანაშემწედ ამა 1920 წ. 1 დეკემბრიდან.

№ 551.

**განთავისუფლებულ იქმნას:** სამსახურიდან თანახმად მისი თხოვნისა საბაჟო ნაწილის საქმის მწარმოებელი იასონ სპირიდონის ძე აბესაძე ამა წლის 1 დეკემბრიდან.

№ 352.

**გადარიცხულ იქმნას:** ბათუმის აქციზის ზედამხედველი დავით ეგნატეს ძე ნარიმანიძე ბათომის ოლქის აქციზის ინსპექტორის უფროს თანაშემწედ ამა 1920 წლ. 1 დეკემბრიდან.

№ 353.

**დანიშნულ** იქმნას: შალვა იასონის ძე ქეიშვილი აქციზის ინსპექტორის უფროს თანაშემწედ ამა 1920 წლის 23 ნოემბრიდან

№ 354.

**დაინიშნოს:** შორაპნის მაზრის აქციზის ინსპექტორის უფროსს თანაშემწეთ ამავე მაზრის ინსპექტორის უმცროსი თანაშემწე ვარლამ სპირიდონის ძე ჩომახიძე ა. წ. დეკემბრის 1-დან.

ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინ. მოვალ. აღმ. **ხ. ავალიანი.**

—

**ფოსტა-ტელეგრაფის და ტელეფონის სამმართველოს უფროსისა.**

19 ნოემბერი, 1920 წ., № 60.

**გამწესებულნი არიან:** ყოფილი ფოსტალიონი ოლღა გომელაური, ყოფილი მოხელე ოლღა პაპავა, კანდიდატები ვერა გეგეჭკორი და ნინა გელცმანი მე 6 ხარისხის მოხელეებათ: გომელაური გურჯაანში, პაპავა სამტრედიაში, გეგეჭკორი ქუთაისის კანტორაში; გელცმანი ბათომის კანტორაში; ყოფილი ფოსტალიონი კანდიდატი შენგელაია ფოსტალიონათ დაბალი ჯამაგირით გაგრაში; კანდიდატები კაზიმირ სვიდერსკი, გიორგი ზუბაშვილი და გიორგი გზირიშვილი ფოსტალიონებათ მ. ღალი ჯამაგირით: სვიდერსკი და ზუბაშვილი ტფილისის ფოსტის კანტორაში და გზირიშვილი ტფილისის რკინის გზის ფოსტის განყოფილებაში; გეგეჭკორი და სვიდერსკი 21 ნოემბრიდან; გელცმანი 15 ნოემბრიდან, დანარჩენი 1 დეკემბრიდან მხოლოდ გელცმანი თანამდებობის აღმასრულებლად და სვიდერსკი თავისუფალ დაქირავებულათ.

**დანიშნულნი არიან:** თელავის მე-5 ხარისხის მოხელე ივანე მცხვეტარიძე—ფშაველის ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილების უფროსათ; წნორის-წყლის ფოსტალიონი რაჟდენ უგლავა მე 6 ხარისხის თანამდებობის აღმასრულებლათ; მე 6 ხარ. მოხელენი ტფილისის ქალაქის ტელეფონის ქსელის ნინო ფანჯაკიძე და სიღნაღის პავლე თვაური მე-5 ხარ. მოხელეებათ: უგლავა პირველ დეკემბრიდან დანარჩენნი 21 ნოემბრიდან.

**გადაყვანილნი არიან:** ბათომის ფოსტალიონი ანეპოდისტ უჩამეიშვილი იმავე წოდებით არტანუჯში 21 ნოემბრიდან.

**დათხოვნილნი არიან:** მე-6 ხარ. ფოსტა-ტელეგრაფის მოხელენი: ბათომის დავით ქანტურაია, გაგრის ფილიპე ქართველიშვილი-ფოსტალიონები გაგრის ხარიტონ მომუგია, ტფილისის ფოსტის კანტორის შალვა ქრისტინაშვილი და ტფილისის მე-5 ქალაქის ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილების პარმენ სარდალიშვილი; ქანტურაია 18 ნოემბრიდან, ქართველიშვილი 17 ნოემბრიდან, მამუგია 21 ოქტ., ქრისტინაშვილი 21 ნოემბრ., სარდალაშვილი 16 ნოემბრ.; მხოლოდ ქართველიშვილი თავის დანებების გამო, მამუგია გაგრაში წასვლაზე უარის თქმისთვის, დანარჩენნი თანად თხოვნისა.

**გამორიცხულნი არიან:** ტფილისის ტელეგრაფის კანტორის მე 4 ხარ. მოხელე კლემენტი ებრალიძე სხვა უწყებაში დანიშვნის გამო 13 აგვისტოდან და სართაჭალის ზედამხედველი დაბალი ჯამაგირით ვლადიმერ სობჩიკი სიკვდილის გამო 25 სექტემბრიდან.

სამმართველოს უფროსი **მგელაძე.**

## არა ოფიციალური განყოფილება.

# დამფუძნებელი კრება

14 დეკემბრის სხდომა.

(დასასრული)

### ვიქტორ თევზაძის სიტყვა.

დღეს, როგორც მოგეხსენებათ აქ არის კამათი მთავრობის საერთო პოლიტიკის შესახებ, უმთავრესად ის ეხება იმ საერთო ხაზს, რომელსაც ატარებს რესპუბლიკის მთავრობა, როგორც საგარეო, ისე საშინაო პოლიტიკაში (ნაც.-დემოკრატების სკამებიდან: „კაუცკის დახმარებით") რაც შეეხება დახმარებას, აქ კაუცკის მაგივრად ერთ დროს ვილჰელმის შვილების მოყვანას ცდილობდნენ. მე არ ვიხმარ ისეთ სიტყვებს, როგორიც ბ. შენგელაიამ იხმარა. გავა დრო და თვითონ ბ. შენგელაია წაიკითხავს თავის სიტყვებს სტენოგრაფიულ ანგარიშში და ალბათ თვითონ გაწითლდება თავის სიტყვებისათვის.

სოც.-რევოლიუციონერთა ფრაქცია ერთხელ გაზეპირებულ ფრაზებს იმეორებს მუდამ დაუსრულებლივ. როდესაც ბათუმი უცხოელების ხელში იყო, აქ გამოვიდა შენგელაია და განაცხადა: ბათუმი დაკარგა სოც. დემოკრატიულმა მთავრობამ, მაგრამ მას დაიბრუნებს ესერების მთავრობაო. მაგრამ ახლა, როცა ბათუმი ჩვენმა მთავრობამ დაიბრუნა, სოც.-რევოლიუციონერებს არ შეუძლიანთ ეს ჩვენი მთავრობის დადებით მოღვაწეობათ დასახონ; ვინაიდან მათ სრულიად დაკარგეს ობიექტივობა. როცა საზღვრების დაცვა საჭირო იყო და მტრები ემზადებოდნენ საომრათ, ბ. შენგელაია იმეორებდა: საზღვრების დაცვის საქმე არ არის სანდო ხელში და ეს მთავრობა უნდა გადადგესო (ლ. ნათაძე: ჭ ნჭრაქაა, ჭინჭრაქა!) მაგრამ ყველამ კარგათ იცის, რომ მიუხედავად ზოგიერთების სურვილისა, ჩვენი მთავრობა მუდამ ღირსეულად და კარგად იცავდა რესპუბლიკის საზღვრებს იმ ჯარის საშუალებით, რომელიც არა ერთხელ მოუხსენებია ცუდათ ბ. ლ. შენგელაიას. ჩვენი სამხედრო ორგანიზაცია თანდათან მაგრდებოდა, ძლიერდებოდა, მაგრამ, რაც უფრო კარგათეწყობა რესპუბლიკას საქმე სამხედრო ორგანიზაცია იქნება ეს თუ მთავარი გამგეობის აპარატი, შენგელაია მით უფრო სასტიკი სიტყვებით იხსენიებს მათ და ამბობს: არ ვარგაო. და ამას შვრება იმიტომ, რომ მას დაკარგული აქვს ობიექტივობა. შემდეგ აქ ბევრი ილაპარაკეს მომარაგების სამინისტროს შესახებ. ის განგაში და ხმაურობა, რომელიც ატეხილია მომარაგების სამინისტროს გარშემო ნაწილობრივ იმითაც აიხსნება, რომ მომარაგების სამინისტროს მოღვაწეობა-მოქმედებასთან დაკავშირებულია ინტერესები ბევრი ვაჭრების და სპეკულიანტების.

რაც შეეხება მომარაგების სამინისტროს, ის მუშაობს იმ გეგმის მიხედვით, რომელიც მიიღო დამფუძნებელი კრების უმრავლესობამ.

მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ მომარაგების სამინისტრომ ორი დიდი ამაგი დასდო სახელმწიფოს: ერთის მხრივ, როცა ადერბეიჯანთან ომის დროს გამოცხადდა ჯარების მობილიზაცია, მაშინ ჩქარა და კარგად მოხდა სურსათის მობილიზაციაც და თქვენ იცით, რომ ჩვენს ჯარს და გვარდიას სურსათი საკმაო ჰქონდა. მეორეს მხრით—მომარაგების სამინისტროს ყველაზე უფრო ჩაგრულ ელემენტებისათვის ჯეროვნობით არ გამოლევია თითო გირვანქა პური.

აქ ერაძე შეადარეს ზებელს და მე უნდა ვსთქვა, რომ ერაძის გარშემო ატეხილი განგაში, ხმაური მომეტებულად იმიტომ არის, რომ ერაძე არ არის დიპლომიანი მინისტრი, ის მუშათა წრეებიდან არის გამოსული (ტაში) ჩვენ ძლიერ გვიხარია, რომ იმ ნულებიდან, რომელზედაც 30 წლის წინად ლაპარაკობდენ და რომლიდანაც კარგს არაფერს ელოდენ, გამოვიდა მინისტრი. (ტაში)

შემდეგ შენგელაია შეეხო იძულებით სესხს და სთქვა, რომ მე ვერ წარმომიდგენია ისეთი სოციალისტები, რომლებმაც იძულებით სესხს მიმართონო. ბ. შენგელაიას, როცა უნდა საუკეთესო სოციალისტური მთავრობათ სახავს მოსკოვის მთავრობას და მან (შენგელაიამ) უთუოდ იცის, რომ მოსკოვის მთავრობა გაცილებით უფრო ფართოდ ხმარობს იძულებით ზომებს, ვინემ ჩვენ.

შემდეგ ბ. შენგელაიამ აქ იკადრა ისეთი სიტყვების წარმოთქმა, რომელსაც ის აქედან არ უნდა ლაპარაკობდეს. მან სთქვა, რომ მენშევიკებს ბევრი ფულები აქვთ, ისინი კვლავ შეიძინენ ახალ სტამბებს და სახლებსო და სხვ. ეს სრულებით არ შეეფერება სიმართლეს. ბ. შენგელაიამ იცის, რომ ის სიცრუეს ლაპარაკობს, მაგრამ მაინც ამბობს და ეს არის არა საკადრისი, მიუღებელი. შემდეგ მან სთქვა, რომ სოც.-დემოკრატიას აუარებელი პროპაგანდისტები ჰყავს, რომელნიც სოფლად დაძრწიან და სხვ. ბ. შენგელაიას მოვახსენებთ, რომ სოც. დემოკრატიას მართლა ბევრი პროპაგანდისტები ჰყავს, წინადაც, ძველი რეჟიმის დროსაც ჰყავდა და მომავალშიაც ეყოლება, მაგრამ ჰყავს თავის და არა სახელმწიფოს ხარჯზე. ისიც მართალია, რომ ისინი მიუხედავად ამინდისა სოფლად დაძრწიან და არ გვანან იმ დეპუტატებს, რომლებიც მაზრაში სასტუმროს არ სცილდებიან.

შემდეგ ბ. შენგელაია შეეხო საგარეო პოლიტიკას და იცით ვისი საშუალებით აკრიტიკებს მას? გაზეთ „ერთობა"-ში მოთავსებულ წერილის. ეს იმას ნიშნავს, რომ სოც.-დემოკრატიული პარტია უკეთესი გამაკრიტიკებელია თავისი თავისა, ვიდრე სხვა ვინმე.

დელეგაციამ პარიზში ის გააკეთა, რომ ჩვენ ფაქტიურად გვიცნეს და იურიდიულ ცნობისათვის ნიადაგი მომზადებულია. შემდეგ ორატორი ეხება იმ ბრალდებებს, რომელიც წამოუყენეს მომარაგების სამინისტროს და ამბობს, რომ მომარაგების მინისტრიც ისეთ საფუძვლიან პასუხს გასცემს ბრალდებებზე, როგორიც იუსტიციის მინისტრმა გასცა. რაც შეეხება ხალხის ნდობას, ბ. შენგელაია, გავა დრო და ჩვენ მოწმენი გავხდებით იმისა, რომ თქვენი ფრაქცია ისე გარიყული დარჩება, როგორც ეს მას მოუვიდა ზუგდიდის მაზრაში, სადაც ასე თუ ისე ხალხის საგრძნობი ნაწილი მას ხმას აძლევდა. (ტაში)

კამათის გაგრძელება შემდეგისათვის გადაიდო.

# მთავრობაში.

### ქალაქის უძრავ ქონებაზე სახელმწიფო გადასახადის მოხსნა.

დეკემბრის 14 სხდომაზე მთავრობამ, მოისმინა რა ფინანსთა მინისტრის მოხსენება ქალაქთა საბიუჯეტო უფლებების შესახებ, დაადგინა: მოხსნას სახელმწიფო გადასახადები ქალაქის უძრავ ქონებაზე. უარყოს წინადადება ქალაქებზე სასარეწაო გადასახადთა სრულიად გადაცემის შესახებ. ამასთანავე საერთო სახელმძღვანელოთ იქნეს მიღებული პრინციპი პირდაპირ გადასახადთა თანდათანობითი გაერთიანებისა და კერძოთ გადაეცეს ქალაქებს მიმდინარე საბიუჯეტო წლის განმავლობაში 60% მთელი შემოსავლისა. დანარჩენი 40% კი გადაეცეს სახელმწიფო ხაზინას, ამასთანავე ხარჯთ ამკრებ ინსპექციის მთელი აპარატი რჩება ფინანსთა სამინისტროს გამგებლობაში. მიეცეს ქალაქებს წინადადება, რათა აღმოუჩინონ დახმარება სარაიონო საბჭოებს სავაჭრო-სამრეწველო კაპიტალის ბრუნვისა, და მოგების გამორკვევაში. სასარეწაო გადასახადთა აკრეფა თანახმად არსებულ კანონებისა იქნეს დატოვებული ქალაქთა განკარგულებაში, იმ პირობით, რომ მთელი შემოსავალი გადაეცეს სახელმწიფო ხაზინას, განსაზღვრულ პროცენტების ქალაქთა სასარგებლოთ ჩანიშვნით. გარდა ამისა შემოსავლის კვალობაზე დადებულ გადასახადიდან შემოსული თანხის 25% უნდა გადაეცეს ქალაქებს, ხაზინას კი 45% და ღვინოზე დადებულ აქციზიდან ქალაქებს უნდა გადაეცეს 20%, ხაზინას კი 8%.

# უცხოეთი

(საინფორმაციო განყოფილების ცნობები)

### გერმანული აგენტები და გენ. ბალახოვიჩი.

ფრანგული პრესა ბეჭდავს ვარშავის გაზეთიდან „კორანა"-დან ამოღებულ წერილს, რომელშიაც მოთავსებულია ცნობა, თითქოს გერმანელ აგენტებსა და გენ. ბალახოვიჩის შორის სწარმოებდა მოლაპარაკება გერმანიასა და კოვნის მთავრობის შორის შეთანხმების დასადებათ საბჭოთა რუსეთისა და პოლონეთის წინააღმდეგ შეტევით მოქმედების დაწყების შესახებ. თანახმად პოლონურ პრესის ცნობისა ბალახოვიჩმა უარყო გერმანიის აგენტების წინადადება.

### ინგლისის მუშათა პარტია და კომუნისტები.

ინგლისური პრესა გადმოგვცემს, რომ ინგლისის მუშათა პარტიამ 349 ხმის უმრავლესობით, წინააღმდეგ 200 ხმისა უარყო წინადადება კომუნისტებთან შეერთებისათ. პარტიის ერთ-ერთმა ლიდერთაგანმა სთქვა: ინგლისის მუშათა მოძრაობას თავისი სახელმძღვანელო ცენტრი ექნება არა მოსკოვში არამედ ლონდონშიო.

### ევროპის პოლიტიკის პერსპექტივები.

ლონდონის ლორდ-მერის ბანკეტზე ლოიდ-ჯორჯმა წარმოსთქვა სიტყვა, რომელშიაც განაცხადა: ევროპის პოლიტიკის პერსპექტივები უმჯობესდება. საჭიროა დაუყონებლივ მოხდეს შერიგება ცალკე ერებსა და კლასებს შორის, წინააღმდეგ შემთხვევაში ევროპა ვერ დააღწევს თავს დაბრკოლებებს. საჭიროა, რომ დასავლეთ, ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპის შორის ყოველგვარი გაუგებრობა იქნეს თავიდან აცილებული. ამასთანავე ლოიდ ჯორჯმა განაცხადა: მე ეჭვი არ შემაქვს გერმანიის გულწრფელ განზრახვაშიო. ბრიტანეთის სამხედრო სამინისტრო გერმანიის განიარაღების შესახებ დამაკმაყოფილებელ ცნობებს გვაწოდებს. გერმანიამ უკვე შეამცირა თავისი ჯარი 150.000 კაცამდე. დასასრულ ლოიდ-ჯორჯმა რწმენა გამოსთქვა, რომ ურთიერთი შეთანხმების საშუალებით მალე საერთო მშვიდობიანობა დამყარდებაო.

### საფრანგეთი და მეფე კონსტანტინე.

„ეხო დე-პარი" იუწყება: საფრანგეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ უმაღლეს საბჭოს მიმართა წინადადებით: იმ შემთხვევაში თუ კონსტანტინე საბერძნეთის ტახტზე დაბრუნდება მიიღონ შემდეგი ზომები: 1. საბერძნეთთან დიპლომატიური დამოკიდებულების შეწყვეტა: 2. ოსმალეთის ხელშეკრულების, სმირნისა და ფრაკიის შესახებ, ხელახლა განხილვა. ლორდ-კერზონმა თავის მხრით შემდეგი წინადადება წარადგინა: 1. საბერძნეთისათვის შეუძლებელი გახადონ ევროპაში სესხის აღება, 2. საბერძნეთსა და ოსმალეთს შორის დადებული ყოველივე ხელშეკრულება ხელახლა განხილულ იქმნას. 3. კონსტანტინეს პოლიტიკის მიმდევარნი, სამოქალაქო და სამხედრო მოხელენი, თანამდებობიდან გადაყენებულ იქმნენ.

# დეპეშები

(საქართ. დეპ. სააგენტო.)

## ფრანგული ცნობები

### მე-3 ინტერნაციონალის წინააღმდეგ.

დიუნკირსენისა და როზენდალის სოციალისტურ პარტიების სექციებმა მე-3 ინტერნაციონალთან შეერთების წინააღმდეგ მისცეს ხმა.

## გერმანული ცნობები

### გერმანიის ფინანსები

გერმანიის მთავრობამ ბრიუსელში მყოფ ანტანტას დელეგატებს ჩააბარა ბარათი, რომელშიაც აღწერილია გერმანიის ფინანსების მდგომარეობა ივლისის 31-მდე. ჩაბარა მოხსენება შემოსავლის და მიმდინარე ვალის შესახებ და აგრეთვე ანგარიში ქაღალდის ფულის გამოცემის და გერმანიის გაცვლა-გამოცვლის განვითარების შესახებ 1914 წლიდან.

### ფლოტის გაძლიერება.

ბრიტანეთის მთავრობამ მიმართა თემთა პალატას თხოვნით ფლოტის გასაძლიერებლათ დამატებით კრედიტის 6 ნახევარ მილიონი გირვანქა სტერლინგის გაღების შესახებ.

### გაფიცვა.

ჩეხო სლოვაკიაში საერთო გაფიცვა გრძელდება. სხვა და სხვა ქალაქებიდან მოდის ცნობები გაფიცულ კომუნისტებსა და ჯარების შორის შეტაკების შესახებ.

იმ 30 პირის შორის, რომლებიც დაატუსაღეს კატოვიცაში გერმანიის ეროვნულ ძეგლების ქვეშ დინამიტების დადების გამო, იმყოფებიან პოლონეთის გამოჩენილ გვარების შვილებიც.

### ხოლერის წინა მდეგ

გერმანიის მთავრობამ მიიღო წინასწარი ზომები, რათა გერმანიაში არ იქნეს გავრცელებული ის ხოლერა, რომელიც გაჩნდა რუსეთში, პოლონეთში და გერმანიის მოსაზღვრე ადგილებში.

### დამშეულ ბავშვებისათვის

თანახმად ჰუვერის მოთხოვნისა ამერიკის კინემატოგრაფებმა გადასდვეს $2^{1}/_{2}$ მილიონი დოლარი ევროპის დამშეულ ბავშვების დასახმარებლათ.

### სავაჭრო დამოკიდებულება საფრანგეთსა და რუსეთს შორის.

საფრანგეთში არ გამოუცხადებიათ არავითარი აკრძალვა რუსეთთან კომერციულ ან ფინანსიურ დამოკიდებულების დაკავების შესახებ, მაგრამ იმისა გამო, რომ საბჭოთა რუსეთსა და საფრანგეთის მთავრობის შორის არ იყო არავითარი დამოკიდებულება, ამიტომ უკანასკნელი არ იღებდა თავის თავზე არავითარ პასუხის-მგებლობას, ასე რომ ეს თუ ის მრეწველი მოქმედებს თავის რისკზე და რუსეთიდან შემოტანილი საქონელი ან და რუსეთში გატანილი საქონელი ემორჩილება საერთო წესებს, მაგრამ ყოველ შემთხვევაში რუსეთში არ უნდა იქნეს გატანილი არც იარაღი, და არც სამხედრო მასალები. სავაჭრო დამოკიდებულება რუსეთთან შავი ზღვის საშუალებით რჩება მოკავშირეთა საზღვაო ძალების კონტროლის ქვეშ.

### კონსტანტინეს დაბრუნება.

საბერძნეთის მთავრობამ დაადგინა გასცეს პასუხი მოკავშირეთა ნოტაზე მეფე კონსტანტინეს საბერძნეთში დაბრუნების შემდეგ. კონსტანტინოპოლის პატრიარქი რჩება ვენიზელოსის მომხრეთ და ათინაში ახალ მიტროპოლიტის დანიშვნაზე უარს ამბობს.

### ტეხნიკური კონფერენცია.

ტეხნიკურ კონფერენციის პირველი სხდომა ბრიუსელში დე-ლაკრუას თავმჯდომარეობით ხუთშაბათს შესდგა. ამ სხდომაზე მოხსენება გააკეთა სახელმწიფო ბანკის თავმჯდომარემ გავენშტეინმა. მოხსენება გერმანიის ფინანსიურ მდგომარეობას შეეხებოდა. მომხსენებელმა დახატა სურათი გერმანიის თანამედროვე მდგომარეობისა. „პტი პარიზიენის" კორესპონდენტი აცხადებს: მოკავშირეთა დელეგატების მიერ გამოჩენილმა სურვილმა შეთანხმების მისაღწევათ საუკეთესო შთაბეჭდილება მოახდინაო.

### ერთა ლიგაში.

ლიტვა, ესტონეთი და ლატვია უარყვეს 20 ხმით წინააღმდეგ 5 ხმისა, საქართველო უარყვეს 14 ხმით წინააღმდეგ 10 ხმისა. ტეხნიკურ ორგანიზაციებში ეს სახელმწიფოები ისარგებლებენ იმავე უფლებებით და პრივილეგიებით, როგორითაც ლიგის წევრები სარგებლობენ. ადერბეიჯანი, უკრაინა და ლიხტენშტეინი უარყვეს. ალბანეთი, ლორდ რობერტ სესილის მოხსენების შემდეგ, ერთხმად იქნა მიღებული 35 სახელმწიფოს მიერ. საკითხი პატარა სახელმწიფოების მიღების შესახებ სათანადო კომისიებს გადაეცა განსახილველად.

# საბჭოთა რუსეთში

(გაზეთებიდან).

### მდგომარეობა პეტროგრადში.

პეტროგრადიდან ჩამოსულები გადმოგვცემენ რომ პეტროგრადში ამ ჟამად სხვა და სხვა სურსათ სანოვაგეზე შემდეგი ფასებია: გირვანქა ერბო ფასობს 8.000 მანეთად, ხორცი გირვანქა—2000 მან.; შაქარი—4000 მანეთი ფქვილი გირვანქა—600 მანეთი ფეხსაცმელები 75,000 მან. ჩულქები 25.000 მან. სარეცხი საპონი—4000 მან.

### ტროცკი მომენტის შესახებ.

ტროცკიმ მიმდინარე მომენტის შესახებ განაცხადა რომ საბჭოთა რუსეთი ამ ჟამად იმყოფება იმ მომენტში, როდესაც მის გარშემო არავითარი საომარი ფრონტი არ არსებობსო.

### უელსი ბოლშევიკების შესახებ.

ცნობილმა პოლიტიკურ მოღვაწემ უელსმა რუსეთიდან დაბრუნების შემდეგ—განუცხადა ევროპის სახელმწიფოების წარმომადგენლებს რომ რუსეთის დღევანდელი გაჭირვება შედეგია ყოფილ სამეფო რუსეთის უსარგებლო და უშინაარსო პოლიტიკისა. შემდეგ უელსი შეეხო მაქსიმ გორკის აზრს, რომელიც თავისი მთელი მისწრაფებით და იდეით ეწინააღმდეგება ბოლშევიზმს, მაგრამ ამისთანავე მათთან უხდება მუშაობაო.

### სპეკულიანტები ეხმარებიან საბჭოთა რუსეთს.

„ეხო დე პარი"-ს გადმოცემით ქალაქ რეველში აღმოაჩინეს მთელი „შაიკა" სპეკულიანტების და კონტრაბანდისტების, რომელნიც იარაღით და სურსათ სანოვაგით ეხმარებოდნენ საბჭოთა რუსეთს.

### ამერიკა უარს ამბობს საბჭოთა რუსეთის ცნობაზე.

ერთ-ერთი ამერიკული კორესპონდენტის გადმოცემით პრეზიდენტს გარდონს განუცხადებია ინგლისის და საფრანგეთის მთავრობებისთვის რომ ამერიკა არ დაარღვევს ვილსონის პოლიტიკას საბჭოთა რუსეთის მიმართ და დღეს როგორც წინად საბჭოთა რუსეთს ამერიკა არა სცნობს და არ მიიღებს ევროპის საერთაშორისო ოჯახშიო.

### რუმინეთი და საბჭოთა მთავრობა.

„იზვესტია“ იუწყება: რუმინეთის მთავრობა შეეკითხა საბჭოთა მთავრობას თუ რომელი საკითხებია რუმინეთსა და რუსეთის შორის სადავო. „იზვესტია“ ამაზე საბრალდებულო აქტით უპასუხებს. რუმინეთს, რუსეთი ბრალს სდებს, 1. ნეიტრალურ სახელმწიფოთა ვალდებულებათა დარღვევაში და საბჭოთა მთავრობის მტრების დახმარებაში და 2 რუსეთზე ძალით ჩამორთმეულ ბესარაბიის საკითხის განხილვის უარის თქმაში. შემდეგ რუსეთი ბრალს სდებს ინგლისსა და საფრანგეთს რუმინეთის დამპყრობ პოლიტიკის ხელის შეწყობაში.

### საფრანგეთის პრესა ბოლშევიკების წინაალმდეგ.

„იზვესტია“ გადმოგვცემს: საფრანგეთის პრესა, მათ შორის „ფიგარო“ და „ეხო-დე-პარი“, დაჟინებით მოითხოვს ბოლშევიკების დამარცხებას ძალით და მოუწოდებს ევროპას გაერთიანდეს წინაალმდეგ რუსეთისა, რომელიც ემუქრება თუ ანტანტას არა პოლონეთსა და რუმინეთს მაინცო. „ფიგარო“ ფიქრობს, რომ საბჭოთა ჯარი ახლო მომავალში პოლონეთის წინაალმდეგ ახალ შეტევას დაიწყებსო.

## ეკონომიურ კომისიაში.

ფინანსთა მინისტრის მოვალეობის აღმასრულებელ ს. ავალიანის თავმჯდომარეობით შესდგა მთავრობის მიერ დანიშნულ ეკონომიურ კომისიის კრება. კრებას დაესწრონენ: ვაჭრობისა და მრეწველობის დეპარტამენტის დირექტორი ე. ალშიბაია, სახელმწიფო მამულების მთავარი ინსტრუქტორი ს. ხუნდაძე და გზათა მიმოსვლის დეპარტამენტის დირექტორი ბ. ჭიჭინაძე. სხდომაზე მოიწვიეს აგრეთვე მომარაგების მინისტრი და სახელმწიფო კონტროლიორი, რომლებიც კრებას არ დაესწრებიან. კომისიამ მოისმინა გზათა მიმოსვლის დეპარტამენტის დირექტორის მოხსენება სახელმწიფო საწარმოო დაწესებულებათა შესახებ. მოხსენების მოსმენის შემდეგ კომისიამ დაადგინა: 1) სახელმწიფო საწარმოო დაწესებულებანი აგებული უნდა იქმნეს იმავე ნიადაგზე, როგორც კერძო საწარმოო დაწესებულებანი ე. ი. მათ უნდა ჰქონდეთ: ა) სრული ოპერატიული თავისუფლება მოქმედებისა, ბ) კომერციულ ნიადაგზე მოწყობილი წარმოება საქმეებისა და ანგარიშისა და გ) კერძო საწარმოო დაწესებულებათა დაგვარად მოწყობილი ტეხნიკო-კომერციული კონტროლი. 2, საბოლოო ფორმა ც სახელმწიფოსაწარმოო დაწესებულებათა ორგანიზაციისა უნდა ჩაითვალოს მათი შეერთება ერთ ან ორ ჯგუფად (სოფლის მეურნეობის და სამრეწველო მეურნეობის ხასიათისას) ცალკე უწყებაში, რომელსაც უნდა ეწოდოს „ხალხის მეურნეობის“ ან „საზოგადოებრივ სამუშაოთა“ სამინისტრო, იმ პირობით, რომ ამ უწყების ორგანიზაცია იქნეს აგებული პირველ პუნქტში ნათქვამ პრინციპზე; 3) აღიარებულ იქნას, რომ ეხლავე ერთბაშად გარდაქმნა არსებულ საწარმოო დაწესებულებათა და მათი ამავე დროს შეჯგუფება ერთ უწყებაში არ არის სასურველი, ვინაიდან შესაძლებელია მოხდეს შესამჩნევი არევ-დარევა საქმეებისა და ანგარიშის წარმოებისა, ამისვთვის უმჯობესია იქნეს მიღებული სახაზინო საწარმოო დაწესებულებათა ზემო აღნიშნულ პრინციპებზე რეორგანიზაცია ეხლა არსებულ უწყებების ფარგლებში, იმ მიზნით, რომ ასეთ რეორგანიზაციის გათავების შემდეგ საწარმოო დაწესებულებანი შეჯგუფდნენ ცალკე უწყებაში. 4) აუცილებელ პირობად სახელმწიფო საწარმოო დაწესებულების მოქმედებისა აღიარებულ იქმნას გადადება ასეთ წარმოებათათვის უწყების პასუხისმგებლობის ქვეშ განსაკუთრებულ საწარმოო თანხებისა, რომელნიც შედიან ამ წარმოების ცალკე ქასაში და რომლის დატრიალების საშუალებითაც აღნიშნული დაწესებულება ასრულებს ყოველივე ოპერაციას. 5) ანგარიშები ასეთ დაწესებულებათა უნდა გასწორდეს წელიწადში ორჯერ და წმინდა შემოსავალი დანიშნულ ნორმის ზევით შედიოდეს ხაზინის შემოსავალში, 9) წლიური ხარჯთაღრიცხვები საწარმოო დაწესებულებათა, თუ ისინი არ საჭიროებენ ხაზინიდან გადადებულ საწარმოო თანხის გადიდებას, საბოლოოდ მტკიცდება სათანადო უწყების მეთაურების მიერ, ხოლო თუ საჭიროა ხაზინიდან დამატებითი თანხის გამოთხოვა, წლიური ხარჯთ-აღრიცხვები განიხილება ჩვეულებრივ წესით და გამოეთხოვება სათანადო დამატებითი თანხა. 7) იმის მიხედვით თუ რამდენათ რთულია საწარმოო დაწესებულების ოპერაციები და თუ რამდენია ასეთი დაწესებულება რომელიმე უწყებაში, მათი მართვა გამგეობა უნდა ხდებოდეს ან პირადად დანიშნულ მმართველების მიერ, ან განსაკუთრებულ სამ პირისაგან შემდგარ კოლეგიის მიერ (რთულ მეურნეობის და ოპერაციების შემთხვევაში) იმის დაგვარად, როგორც არის მოწყობილი სააქციზო საზოგადოებათა გამგეობანი ან და უწყებისაგან გამოყოფილ ცალკე სამმართველოს მიერ (მრავალრიცხოვან საწარმოო დაწესებულებათა შემთხვევაში). 8) კონტროლი ასეთ დაწესებულებათა აგებული უნდა იქნეს წმინდა კომერციულ ნიადაგზე. მას საბოლოოდ უნდა მიეცეს სახე ტეხნიკურ კომერციულ კონტროლის განყოფილებისა უწყებასთან, რომელიც დაარსდება საწარმოო დაწესებულებათა მართვა გამგეობისათვის ხოლო დროებით ის შეიძლება განხორციელებულ იქმეს ცალკე უწყებაში განსაკუთრებულ კონტროლიორების მიერ. სახელმწიფო კონტროლს აქვს საერთო უფლება ცალკე საწარმოო დაწესებულებათა ერთდროულ რევიზიის საჭიროების მიხედვით. 9) დეკრეტის პროექტის შედგენა დაევალოს გზათა დეპარტამენტის დირექტორს, რომელმაც ეს პროექტი უნდა წარმოადგინოს კომისიის შემდეგ სხდომისათვის განსახილველად.

## ახალი ამბები

**დაშვუძნებელ კრებაში.** სახალხო განათლების კომისიაში დაისვა საკითხი ტფილისის პოლიტეხნიკურ ინსტიტუტის შესახებ. მოხსენება გააკეთა ბ-ნ იმნაიშვილმა. ამ საკითხის შესახებ 14 დეკემბერს მოწვეულ იქნენ კომისიაში უნივერსიტეტის რექტორი ბ-ნ ჯავახიშვილი და პოლიტეხნიკუმის რექტორი ბ-ნ დიდებულიძე-ახსნა განმარტების მისაცემად. კომისიამ ამის შესახებ იქონია დეკემბრის 17 ს მსჯელობა და გამოიტანა შემდეგი დადგენილება: ტფილისის პოლიტეხნიკუმი დაუკავშირდეს სახელმწიფო უნივერსიტეტს ფართე ავტონომიურ ნიადაგზე.

**იუსტიციის სამინისტროში.** დეკემბრის 20, სურამში მიემგზავრება საოლქო სასამართლოს სისხლის წევრების ორჯონიკიძის და პაშიკოვის და პროკურორის ამხანაგის შალიბაშვილის შემადგენლობით. საქმეების გარჩევა სურამში ნაფიც მსაჯულთა შემადგენლობით დაიწყება დეკემბრის 20 და 25-მდე გაგრძელდება.

**მისალმებანი მთავრობას.** მთავრობის თავმჯდომარის სახელზე მარტყოფის რაიონის გვარდიელებისაგან და ადგილობრივ საზოგადოებისაგან შემდეგი შინაარსის დეპეშა მოვიდა. მარტყოფის საზოგადოებამ, მოისმინა რა მოხსენება დამფ. კრების წევრის ვლ. მგელაძისა მიმდინარე მომენტის შესახებ, ფიცსა სდებს მთავრობის წინაშე, რომ იგი მზათ არის მთელი თავისი ძალღონით დაიცვას რესპუბლიკა.

სამურზაყანოს მაზრის სახალხო გვარდიის ყრილობა მიესალმება მთავრობის თავმჯდომარეს ხალხის ბელადს და ქართველ დემოკრატიის განმათავისუფლებელს. სამურზაყანოს გვარდია ფიცსა სდებს მთელი ქართველი ხალხის წინაშე, რომ იგი მედგრად დაიცავს რესპუბლიკის დამოუკიდებლობას და რევოლიუციის მონაპოვარს. დეპეშა თავდება: გაუმარჯოს დამოუკიდებელ საქართველოს დემოკრატიას და საქართველოს მთავრობას.

**ტყვიბულის ქვანახშირის წარმოების გაძლიერება.** გზათა დეპარტამენტის ცნობაში ტყვიბულის ქვანახშირის წარმოების გაძლიერების შესახებ, შეცდომა შეიპარა. უნდა იყოს: ტყიბულის ქვანახშირის წარმოების გაძლიერების მიზეზი არის ის ნაბიჯები, რომელიც გადადგა მაღაროების ადმინისტრაციამ, გზათა დეპარტამენტის დირექ. ინჟ. ჭიჭინაძის მიერ მაღაროების დათვალიერების შემდეგ.

**ნარზანის ჩყლის ექსპლოატაცია.** კობის ნარზანის წყლის ტეხნიკურ ექსპლოატაციის მოსაწესრიგებლად დაინიშნა ინჟ. ჯაბაშია, რომელმაც სპეციალური განათლება პარიზის უმაღლეს ეროვნულ ტეხნიკურ აგრანომიურ ინსტიტუტში მიიღო.

**კობის წყლის ექსპლოატაცია.** გერმანიაში გაგზავნეს შეკითხვა კობის წყლის ექსპლოატაციისათვის საჭირო გაუმჯობესებულ მანქანების შეძენის შესაძლებლობის შესახებ. საქმის ორგანიზაცია დაიწყება მარტის 1, იმ პირობით, რომ წყლის ექსპლოატაცია შესაძლებელი შეიქნეს არა უგვიანეს 1921 წლის ზაფხულის დამლევს.

**ფრონტის დამხმარე კომიტეტისთვის.** პოეტმა გაბურკევიჩმა ფრონტის დამხმარე კომიტეტს შესწირა 17,500 მანეთი.

**ტრამვაის შეჩერება აღმართებზე.** ციციანოვის და ვერის აღმართზე დიდი ყინვების გამო ტრამვაის მოძრაობა დროებით შეჩერებულია.

**ლ. მესხიშვილის ქანდაკება.** მოქანდაკე მ. არაყიშვილმა გამოაქანდაკა განსვენებულ მსახიობ ლადო მესხიშვილის ბარიელები. დაინტერესებულ პირთ შეუძლიანთ ქანდაკება ნახონ მოქანდაკე მ. არაყიშვილის ბინაზე რტიშჩევის ქუჩაზე № 22 ექიმ ოქროპირიძის ბინაზე.

## ე რ ო ბ ა

### კურსები თემთა მოღვაწეთათვის

ერობათა კავშირის კომიტეტში გადასწყდა დაარსონ კურსები თემთა მოღვაწეთათვის. ამ კურსების პროგრამა შეთანხმებული იქნება ერობის მუშაობის პრაქტიკულ მოთხოვნილებასთან. თეორიას გაივლიან იმდენს, რამდენათაც ეს საჭირო იქნება პრაქტიკულად გამოცდილების მიღების შესამსუბუქებლად. კურსებზე მიიღებენ პირველ რიგში მათ, ვინც უკვე მუშაობს ერობაში. მიღებულთა კურსებზე ჩათვლა მოხდება მივლინების სისტემით, რათა ერობებს რაც შეიძლება მოკლე დროში ეყოლოთ აუცილებელი მომუშავენი. კურსები იქნება მოკლევადიანი. ფიქრობენ განათლების ცენზს ყურადღება არ მიაქციონ. მსმენელებს გაანაწილებენ განვითარებისა და სწავლის მიხედვით. ლექციები შეძლებისდაგვარად შეცვლილი იქნება საუბრით. კურსების პროგრამაში შეტანილია შემდეგი მთავარი საკითხები: ადგილობრივ თვითმართველობის, ერობათა მეურნეობის, და ერობათა კულტურული მუშაობის საკითხები, სტატისტიკა, საქართველოს ეკონომიური გეოგრაფია და აგრარული რეფორმა. მომავალში, კურსების განვითარებასთან ერთად ფიქრობენ შემდეგი პროგრამის შემოღებას. სახელმწ. და ადმინისტრატიული უფლების საფუძვლები, თვითმართველობის იურიდიული საფუძვლები, სამაზრო და თემის მილიცია, სასამართლოს წარმოება ჯარში გაწვევა და მობილიზაცია, ადგილობრივი ფინანსები, ბიუჯეტი, მუნიციპალური წარმოება, ბუჰგალტერია, კონტროლი, სასურსათო საკითხი, სასკოლო საქმეები, რესპუბლიკაში აგრარული რეფორმის გატარება და სხვა.

## რკინის გზაზე

მოძრავი შემადგენლობის და წევის უფროსმა და ელექტრო-ტეხნიკურ განყოფილების უფროსმა რკინის გზის სამმართველოში მოხსენება წარადგინეს დამატებითი თანხის გაღების შესახებ, რაც აუცილებელია სად. ჩაქვის ელექტრონით განათების მოწყობისათვის.

რკ. გზ. გამგეობის ნივთიერი განყოფილება სამმართველოში წარდგენილ მოხსენებაში იუწყება: ამერიკის მისია წინადადებას იძლევა შესახვევ მასალის შეშაზე გაცვლის შესახებ. ნივთიერ განყოფილების უფროსი აღნიშნავს რა შესახვევი მასალის საჭიროებას, ითხოვს ამ გაცვლა გამოცვლის ნებართვას.

## ცენტრალურ სტატისტიკურ კომიტეტში

ცენტრალურმა სტატისტიკურმა კომიტეტმა მიწათ მოქმედების სამინისტროს წინადადებით დაამუშავა სასწრაფოდ ანკეტა 1920 წლ. შემოდგომის განმავლობაში. ეს ანკეტა მოიწონა საგანგებო კომისიამ და დაუგზავნა შესავსებათ სამაზრო ერობებსა, თემებსა და ცენტრალურ სტატისტიკურ კომიტეტის თავისუფალ კორესპონდენტებს. ცენტრალურ სტატისტიკურ კომიტეტთან დაარსებულ ინფორმაციულ ბიუროს აქვს დამოკიდებულება საქართველოს მოსაზღვრე სახელმწიფოებში არსებულ სტატისტიკურ ორგანიზაციებთან და აგრეთვე დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებთან. ასეთი კავშირის მიზანი არის საერთაშორისო ეკონომიურ მდგომარეობის შესწავლა.

— ცენტრალურმა სტატისტიკურმა კომიტეტმა გამოიმუშავა პროგრამა რესპუბლიკის მუშათა და მოსამსახურეთა მდგომარეობის გამოკვლევისათვის. საანკეტო ბარათები იქნება უსახელო. სხვათა შორის ანკეტასთან თანდართულია მოხმარების ნორმის გამოკვლევისათვის საჭირო ცხრილი. ბარათი და ცხრილი მოიწონა საგანგებო კომისიამ და უსასამტკიცებლად პროფეს. კავშირთა საბჭოს გადასცა.

## სასურსათო საქმეები

ქალ. თვითმართველობის სასურსათო განყოფილებამ დაადგინა: 1. წინადადება მიეცეს ყველა ვაჭრებს ერთი კვირის განმავლობაში გაამაგრონ სასწორები კავით საგანგებო ჭალზე (სტოიკა), 2. სასწორი ისე უნდა იქნეს გაკეთებული, რომ მყიდველმა დაინახოს როგორც ცარიელი სასწორის წონასწორობა, ისე ისრის გადახრა საქონლის აწონისას, 3. ასეთი სასწორის მოწყობის შემდეგ წინადადება მიეცეს ყველა ვაჭარს წარადგინონ სასწორები და საზონები გამაგრებულ ჭალებით პალატაში შესამოწმებლად და შესაფერი ნიშანის გასაკეთებლად. ეს განკარგულება გამოიწვია ზომისა და საწონის პალატის განცხადებამ: მყიდველსა და გამყიდველს შორის გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად, აიძულონ ვაჭრები ივაჭრონ კანონიერათ ე. ი იქონიონ სწორი სასწორი. წონისა და ზომის პალატა სთხოვს სასურსათო განყოფილებას დაუყონებლივ გაატაროს ცხოვრებაში ეს ზომა განსაკუთრებით კი ხელჭე მოვაჭრეების მიმართ.

## სასახლეები საქართველოში.

ძველი სასახლეები ისე, ვით საყდრები და სხვა შენობები, მთელი ერის შემოქმედობის ნაყოფია, მის ხუროთ-მოძღვრულ ხელოვნების მომასწავებელი ნაშთია, და, როგორც ასეთს, დიდის კრძალვით ეპყრობიან ამისთანა ძეგლებს ყველა კულტუროსან სახელმწიფოებში. მათ დასაცველად, მოსავლელად და შესანახად ყველგან არსებობს ცალკე სახელმწიფო კომიტეტები, რომელთა ზედამხედველობის ქვეშ იმყოფება ყველა ძველი მამა-პაპეული შენობა, დიდია იგი თუ პატარა, სასახლეა თუ ტაძარი, ციხეა თუ ნაქალაქევი, ნასახლარია თუ სასახლე.

რახან უსამართლოთ მოსპობილი თავისუფლება დღეს „ჭერ ქვეშა გვაქვს“, რახან საქართველო დღეს ისევ დამოუკიდებელი თვითარსი სამყოფოა, და მისი აშენება, მოვლა და პატრონობა ისევ ჩვენ დაგვეკისრა, სათანადოა ყოველი ჩვენთაგანი „დავით აღმაშენებლად“ იქცეს, ყოველმა თავისი აღმაშენებლობითი ნიჭი გამოიჩინოს იმ დარგში, საცა ნაყოფიერად მუშაობა, გულწრფელი რუდუნი შეუძლია. უპირველეს ყოვლისა კი საჭიროა გულმოდგინე შრომა დასაცველად ნგრევა-ოხრებისაგან ხუროთ-მოძღვრულ ნაშთებისა. მრავალი მათგან დაინგრა წარსულ საუკუნის მონობის დროს ანუ, უკეთ ვთქვათ დაანგრიეს უცხოებმა. ვით კაბენი, ეს ხვეულ ხელოვნების აღმატებულობის თითქმის ერთად-ერთი წარმომადგენელი მთელს დედამიწაზე.

ვურთავთ ყოფილ სასახლეების სიას მათ მოკლე მოკლე აღწერით. კარგი იქნება ამ ძეგლების აწინდელ ყოფა-ვითარების შესასწავლადა, ასაწერად და ნაშთთა სახის გადასაღებლად ახლავე გაიგზავნოს ყველგან მცოდნე კაცები და მათი ნასაქმარი დაიბეჭდოს ცალკე წიგნად.

**აზეულა** (კოჟორი), სასახლე მეფეთა. აქ დგებოდნენ ზაფხულს, ამბობს ვახუშტი თავის გეოგრაფიაში. გვ. 62.

**ალამბარი**, გურიაში, ხინოს მდინარის შესართავთან, ზღვაზე, სასახლე გურიელთა, ფრიად შვენიერს ადგილს. ვახუშტი 322.

**აბრიალაური** კრიხულაზე, რაჭაში, სასახლე მეფეთა, ადგილის შემკობილებისათვის. ვახუშტი 282.

**არტანუჯი**, სადგური აშოტ დიდისა და სხ.

**აჩაბეთი**, თირის მონასტრის წყალზე, სასახლე და ციხე მეფეთა. ვახუშტი 112.

**აჯამეთი**, სასახლე და სანადირო მეფეთა.

**ბებუთი**, სასახლე და სადგური ზამთარს მეფეთა. ვახუშტი 279.

**გრემი**, კახეთში, შვენიერი სასახლე ლევან მეფისა (1520—1574 წ.). ვახუშტი 161.

**დამბალა**, იორზედ, კეთილ ადგილს, შვენიერ წყაროიანს. ვახუშ. 133.

**დარიალიხა**, ნასასახლევი მეფეთა. ოდეს გაილაშქრიან ოვსეთად, მუნ დადგიან. ვახუშ. 98.

**დედოფლის წყარო**, ქიზიყში, თამარ მეფის ქმნილი, შვენიერი ზ ფხულობით, წყაროიანი, ნავთის მადნიანი.

**ვარძია**, სამცხეში, სენაკი პალატებიანი, ქმნილი თამარ სა და მის მამის გიორგისაგან, რომელიც აქვე დაიმარხა. ვახუშ. 214.

**მ. ჯანაშვილი.**

(შემდეგი იქნება)

ნამდვილს ზედ აწერია: ვამტკიცებ" 25 ნოემბერი, 1920 წ. ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრის მოვალეობის აღმასრულებელი ს. ჟვანია.

# წესდება

## ჭიათურის ბანკისა.

### II. ბანკის ოპერაციები.

§ 23.

დებულის ბილეთებს იძლევა ბანკი ბლანკებზე, რომელიც შეიძლება იქმნას დაბეჭდილი სახელმწიფო ქაღალდების დასამზადებელ ექსპედიციაში. ამ ქაღალდების ყალბი გაკეთებისათვის მიესჯებათ დამნაშავეთ ისეთივე სასჯელი, როგორც ის დაწესებულია სახელმწიფო ქაღალდების ყალბი გაკეთებისათვის.

§ 24.

უძრავი ქონება ნება ეძლევა ბანკს შეიძინოს თავის ბინისა. და საწყობისათვის საჭიროებისა გამო და აგრეთვე თავისი განყოფილებების ბინისათვის, აქციონერთა საზოგადო კრების ნებართვით.

ბანკს ნება აქვს განსაკუთრებულ შემთხვევაში შეიძინოს ან გირაოდ აიღოს ბანკის უპირულ მოვალესაგან უძრავი ქონება, რათა მით აიცილოს თავიდან ზარალი იმ ვალის გადაუხდელობით, რომელიც მამულის პატრონს დასდებია. ყიდვა ამისთანა მამულისა ან გირავნობის ქაღალდის შესრულება შეუძლია მხოლოდ გამგეობას ერთხმივ გარდაწყვეტილებით და ბანკის საბჭოს დადასტურებით. გირავნობის ქაღალდი უნდა იყოს ისეთი ვადით, რომ არ აღემატებოდეს ბანკის მიერ ვექსილების განაღდებისათვის დაწესებულ ვადას. გირავნობის ქაღალდის ვადის გასვლისთანავე, თუ გირაოს პატრონი კვლავ უპირული აღმოჩნდა, ბანკი მოვალეა დაუყონებლივ შეუდგეს ვალის გადახდევინებას გირავნობის ქაღალდის ძალითა. გაყიდვა იმ უძრავი ქონებისა, რომელიც ბანკს დარჩება საჯარო ვაჭრობაზედ. წლის განმავლობაში უნდა მოხდეს.

§ 25.

შეძენა თავის საკუთარი აქციებისა და აგრეთვე გაცემა სესხისა მათის დაგირავებით ბანკისათვის აკრძალულია.

§ 26.

დებულზე და მიმდინარე ანგარიშზე ბანკში შეტანილი ფული არ შეიძლება დაკავებულ ან შეკრულ იქმნას, თუ არ იმ წესით რაც განსაზღვრულია სამოქალაქო სამართლის წესდებითა და ამ გვარ შემთხვევაში ბანკს უნდა წარედგინოს მის მიერ მდებელზე მიცემული ბილეთები და საანგარიშო წიგნაკები.

§ 27.

ბანკში წარდგენილი გირაოთ ლითონნი, საქონელი, ასიგნოვკები ოქროს მისაღებად, ვარანტები, კონისამენტები და კვიტანციები სატრანსპორტო კანტორებისა, რკინის გზებისა და სანაოსნო საზოგადოებათა და ყოველგვარი ფასიანი ქაღალდი და სხვა გირაონი არ შეიძლება შეკრული იქმნას არავითარი კერძო და სახაზინო გარდასახადისათვის და ბანკის მოვალის საკონკურსო ქონებად გარდაიქცეს, ვიდრე სულ მთლად არ იქნება გადახდილი ის სესხი, რომელიც მათის გირაოთი გასცა ბანკმა კუთვნილი პროცენტებითა, ჯარიმითი და უპირულობის თანხითა, თუ ვინიცობაა სესხის ქვადა განსაზღვრულ დროს გადაცდენილია.

§ 28.

რაოდენობა ბანკის ვალდებულებისა არ უნდა აღემატოს ათჯერ მეტი შეერთებულ ძირითადი და სათადარიგო თანხისას.

§ 29.

ბანკის თითოული კლიენტისათვის გადაწყვეტილი კრედიტი არ უნდა აღემატებოდეს ერთ მეათედ ნაწილისა ბანკის ძირითადი თანხისას.

§ 30.

ბანკში დებულად შეტანილი ფულზე შეიძლება მარტოდ-მარტო სახელობითი ბილეთები იქმნას გაცემული. ეგ ბილეთები შეიძლება ერთის ხელიდან მეორე ხელში გადავიდეს, იმ პირობით-კი, რომ ზედ სრული წარწერა დაერთოს ბილეთის გარდაცემის დროს და თვით ბანკის დავთრებშიაც აღინიშნოს ეს გადაცემა.

§ 31.

ბანკის ბილეთები დებულზე შეტანილი ფულისა მიიღება გირაოდ მთავრობის ყველა დაწესებულებაში და სახაზინო მმართველობაში იმ ფასად, რა ფასიც დაწესებული იქნება ფინანსთა მინისტრის მიერ. ბანკის აქციებიც მიიღება გირაოდ იმავე დაწესებულებათა მიერ იმ ფასად, რომელსაც დააწესებს ფინანსთა მინისტრი.

### III. მმართველობა.

§ 32.

ბანკის საქმეთა მმართველობა მინდობილი აქვს გამგეობას და საბჭოს.

§ 33.

ბანკის გამგეობა იმყოფება ქ. ჭიათურაში და შესდგება თავმჯდომარისა და არა ნაკლებ ორი წევრისაგან, რომელთაც ირჩევს საზოგადო კრება აქციონერებისა საბჭოს მიერ წარდგენილ პირთაგან სამი წლის ვადით.

§ 34.

გამგეობის წევრად არჩეული მოვალეა თანამდებობის ასრულების შედგომისთანავე წარუდგინოს ბანკს ათი აქცია, რომელიც ინახება ბანკის კასაში იმ დრომდე, ვიდრე საზოგადო კრება აქციონერებისა დაამტკიცებს ანგარიშს იმ ხნის განმავლობაში რა ხანსაც გამგეობის წევრი თანამდებობას ასრულებდა.

§ 35.

საზოგადო კრების მიერ გამგეობის წევრად არჩეულნი ასრულებენ თავიანთ თანამდებობას სამი წლის განმავლობაში; პირველ სამ წელს თითო-თითო წევრი ანებებს თავს თანამდებობას ან ურთი-ერთ შორის თანხმობით ან წილის ყრით. შემდეგ ყოველ წლივ ანებებენ თავს სამსახურს ის წევრნი გამგეობისა, რომელთაც სამი წელი შეუსრულდებათ ამ თანამდებობაში. სამსახურს თავდანებებულნი შეიძლება ხელ-ახლად იქმნან არჩეულნი გამგეობის წევრად.

**შენიშვნა.** თუ მომატებულ იქმნა რიცხვი გამგეობის ან საბჭოს წევრთა, საზოგადო კრებამ უნდა განსაზღვროს წესი მათი სამსახურიდან გამოსვლისა.

§ 36.

თუ ვინიცობაა გამგეობის რომელიმე წევრმა თავი დაანება სამსახურს იმ ვადამდე, რა ვადით ის იყო არჩეული, მაშინ მის ადგილას საბჭოს წარდგენით, ირჩევენ ახალ წევრს იმ ვადით, რა ვადაც დარჩა სამსახურიდან გასულს.

ხოლო როგორც სამსახურს თავ დანებებულ, ისე დროებით სადმე წასულ გამგეობის წევრის თანამდებობის ასრულება საბჭოს განკარგულებით ევალება (მიენდობა) ერ ერთ საბჭოს წევრს.

## განცხადებანი

დაიკარგა სამსახურის ფურცელი კუპონი № 3, მიღებული მე-7 პოლკიდან დავით ზაქარიას ძე აკოფიანის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 4292 3—2

დაიკარგა საიჯარო პასპორტი ეგიაზარ რაშოიანცის სახელზე, მიღებული ტფ. მილიციის უფროსის სამმართველოდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 4286 3—2

დაიკარგა პასპორტი ბაგრატ ალექსანდრეს ძე ბაჩიაშვილის სახელზე, მიღებული კავკაზში საქართველოს კონსულისაგან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 4287 3—2

დაიკარგა მოწმობა სამხედრო ბეგრიდგან განთავისუფლებისა მიღებული ტფ. სამხედრო უფროსისგან და მეტრიკული მოწმობა სოფ. ხორთის სხიესის ეკლესიიდან კირილე წყალობას ძე გოგლიძის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 4296 3—2

დაიკარგა მორიგ ჯარში გასაწვევ უბანზე მიწერილობის მოწმობა პეტროს ხაჩატურის ძე დილბაროვის სახელზე, მიღებული ტფ. ქალაქის გამგეობიდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 4258 3—3

დაიკარგა პასპორტი, მიღებული ზვარეთის საზოგადოებიდან და სამხედრო ბეგრიდაა თავისუფლების მოწმობა, მიღებული ქუთ. სამხედრო აღრიცხვის უფროსისაგან მელიტონ ოტიას ძე გოშაძის სახელზე, გაუქმებულად ჩაითვალოს. 4275 3—3

სააქციზო სამმართველო ამით აცხადებს, რომ ღვინის სარდაფის მეპატრონეს ილია ბერიაშვილს დაუკარგავს ღვინის შეძენის ნებართვა მიცემული სააქციზო სამმართველოს მიერ 1920 წლისათვის, გაუქმებულად ჩაითვალოს. 4270 3—3

დაიკარგა პირადობის მოწმობა მიღებული მომარაგების სამინისტროდან იოსებ ისაკოს ძე პერელმანის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 4297 3—2

დაიკარგა ნასყიდობის სიგელი ანდრია ასლამაზაშვილის სახელზე, დამტკიცებული ტფ. ოლქის სასამართლოს უფროს ნოტარიუსისგან 1918 წ. რეესტრით № 495. გაუქმებულად ჩაითვალოს. 4276 3—3

დაიკარგა სამეურნეო ბანკის სათავნო ვადიანი ბარათი № 2283—შემოტანილი 1918 წ. 23 აგვისტოს 1000 მან. ერთი წლის ვადით, ივანე თომას ძე იაშვილის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3—3

დაიკარგა სარეგისტრაციო მოწმობა მიღებული ტფ. სამხედრო აღრიცხვის უფროსისგან ვაჭრობის ნებართვა მიღებული ტფ. ხაზინიდან და 1920 წ. გადასახადის კვიტანცია მიღებული ქალაქის გამგეობიდან კარაპეტ არაქელის ძე ამიროვის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 4248 3—3

დაიკარგა პასპორტი, მიღებული ჭალის თემიდან (შორაპნის მაზრა), სამხედრო ბეგარიდან თავისუფლების მოწმობა, მიღებული შორაპნის მაზრის სამხედრო აღრიცხვის უფროსისაგან და საპენსიო წიგნაკი გიორგი საჩინოს ძე გურასაშვილის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 4249 3—3

დაიკარგა პირადობის მოწმობა, მიღებული ტფ. პოლიტეხნიკუმიდან და სხვა საბუთები ნიკოლოზ ბესარიონის ძე გვახარიას სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 4265 3—3

დაიკარგა პირადობის მოწმობა № 63903 სამხედრო აღრიცხვის სამმართველოს სამნეო ნაწილის ბადრაგის გრ. ხვთისიაშვილის სახელზე, გაუქმებულად ჩაითვალოს. 4242 3—3

დაიკარგა პასპორტი, მიღებული ს. ახალქალაქის თემიდან და სამხედრო ბეგრიდან თავისუფლების მოწმობა, მიღებული სასწავლო გუნდიდან 1919 წ. მარტია ალექსის ძე ამირაზაშვილის სახელზე, გაუქმებულად ჩაითვალოს. 4243 3—3

დაიკარგა პასპორტი მამედ ალა ნაჯაფ ოღლის სახელზე, მიღებული სპარსეთის საკონსულოდან აქსტაფაში. გაუქმებულად ჩაითვალოს. 4263 3—3

დაიკარგა ოფიცერთა ეკონომიურ საზ. საწევრო წიგნაკი № 1034 ოლღა დიმიტრის ასული შალიგინის სახელზე, გაუქმებულად ჩაითვალოს. 4266 3—3

დაიკარგა სამხედრო ნუსხა № 3261 არონ ხაიმ მიხეილის ძე იოსებაშვილის სახელზე, მიღებული შორაპნის მაზრის სამხედრო აღრიცხვის უფროსისაგან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 4261 3—3

დაიკარგა პირადობის მოწმობა № 97 მიღებული ტფ. პოლიტეხნიკუმიდან მიხეილ ზაქარიას ძე ცალქალამანიძის სახელზე, გაუქმებულად ჩაითვალოს. 4278 3—2

დაიკარგა პასპორტი № 4013 მინას იაკუბ ოღლის სახელზე, მიღებული სპარსეთის საკონსულოდან ტფილისში. გაუქმებულად ჩაითვალოს. 4268 3—2

დაიკარგა პირადობის მოწმობა № 1072 მიცემული ს. წოუკრის სამმართველოდან (თემირ ხან-შურა). გაუქმებულად ჩაითვალოს. 4269 3—2

დაიკარგა მოწმობა მიცემული 1-ლი ქვეითა რაზმის სათადარიგო გუნდიდან № 1006 ალექსანდრე ივანეს ძე მინდაძის სახელზე, გაუქმებულად ჩაითვალოს. 4256 3—2

დაიკარგა სამხედრო აღრიცხვაზე მიღების მოწმობა ალექსანდრე ივანეს ძე ბუჯიაშვილის სახელზე, მიღებული ტფ. მაზრის სამხედრო აღრიცხვის უფროსისაგან 1919 წ. გაუქმებულად ჩაითვალოს. 4264 3—2

დაიკარგა პასპორტი, კავშირის წიგნაკი და საჩაიეს პატენტი აბდულა ხალილ ოღლის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 4273 3—2

დაიკარგა პასპორტი ალექსანდრე ბალაშევსკის ლალაევის სახელზე, მიღებული ბაქოს პოლიცმეისტრის სამმართველოდან 1919 წ. გაუქმებულად ჩაითვალოს. 4271 3—2

დაიკარგა სამხედრო ბეგრიდან განთავისუფლების მოწმობა მიღებული ზესტაფონის სამხედრო აღრიცხვის უფროსისგან. პირადობის მოწმობა მიღებული ლელვან—მარელისის თემიდან და მეტრიკული მოწმობა მიღებული ლელვანის ეკლესიიდან ნიკოლოზ პორფილეს ძე ვეფხვაძის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 4298 3—2

დაიკარგა უვადო ბილეთი მიღებული ფოთის პოლიციის სამმართველოდან 2, ორი ვექსილი თითო ასი ათას მანეთიანი სოხუმის კოოპერატივის „ზარია“ს გამგეობის ხელმოწერილი, 3, სამი რკინის გზის დუბლიკატი, 4, ერთი ნოტარიული პირობა მოცემული სოხუმის კოოპერატივის „ზარია“ს გამგეობის მიერ. 5, მეორე ნატარიული პირობა სოხუმის რაიონულ კოოპერატივს კავშირის გამგეობის მიერ მიცემული. 6. სოხუმის მუშათა მაგიდის რწმუნებულობა საქონლის მიღების შესახებ, და სხვა საბუთები— სევასტი მიზარბეგისძე რამიშვილის სახელზე, გაუქმებულად ჩაითვალოს. 4322 3—1

დაიკარგა მოწმობა № 15921 მიღებული შინაგან საქმეთა სამინისტროდან 16/VIII. 1920 წ. ივანე დიმიტრის ძე დავიდოვის სახელზე, გაუქმებულად ჩაითვალოს. 4308. 3—1

დაიკარგა ისიდოროვის შესახვევში № 3 მდებარე სახლის დავთარი, რომელიც ეკუთვნის ხიზანიშვილს. გაუქმებულად ჩაითვალოს. 4311 3—1

დაიკარგა შესანახი კვიდანცია № 44250— 1500 მან. მიღებული სახელმწიფო ბანკიდან სოფიო მაკარის ასულის გურამიშვილის სახელზე, გაუქმებულად ჩაითვალოს. 4312 3—1

დაიკარგა პასპორტი მიღებული ქ. ტფილისში სომხეთის კონსულისაგან ზაქარია სამსონის ძე დულგაროვის სახელზე, გაუქმებულად ჩაითვალოს. 4313 3—1

დაიკარგა მოწმობა მიღებული ტფ. მილიციის უფროსის სამმართველოდან ოლღა მიხეილის ასულის რიკოვას სახელზე, გაუქმებულად ჩაითვალოს. 4314 3—1

სააქციზო სამმართველო ამით აცხადებს, რომ ზ. ლ. ალექსანდროვმა დაკარგა საგირაო კვიტანციები 100 მანეთისა № 21237 და 500 მან. № № 9329 და 9333 აღნიშნული კვიტანციები ა/წ. 7 დეკემბრიდან ითვლება გაუქმებულად. 4310 3—1

დაიკარგა პირადობის მოწმობა № 1737. მიღებული ტფ. მილიციის სამმართველოდან მიხეილ ხაიმ დავითის ძე აბაჯანოვის სახელზე გაუქმებულად ჩაითვალოს. 4300 3—1

დაიკარგა უვადო პასპორტი მიღებული ტფ. პოლიცმეისტერის კანცელარიიდან ნინია ზაქარიას ძე შაყულაშვილის სახელზე, გაუქმებულად ჩაითვალოს. 4301 3—1

დაიკარგა სამხედრო ბეგარასთან დამოკიდებულების ნუსხა, მიღებული ქუთაისის სამხედრო აღრიცხვის უფროსისაგან, მეტრიკული მოწმობა და ოჯახური მდგომარეობის მოწმობა, მიღებული ქუთაისის ქალაქის გამგეობიდან, მოშე გაბრიელის ძე ბუზიაშვილის სახელზე, გაუქმებულად ჩაათვალოს. 4304 3—1

დაიკარგა უვადო პასპორტი მიღებული ქ. ბენდერის (ბესარაბია) საპოლიციო სამმართველოდან 16 ნოემბერს 1911 წ. გრიგოლ ზინოვის ძე პრიცკესის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 4305 3—1

დაიკარგა დროებითი მოწმობა მიღებული 12 იანვარს 1920 წ. სოჭის მილიციის სამმართველოდან ვასილ პეტრეს ძე იშეევის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 4306 3—1

დაიკარგა პასპორტი მიღებული კავთისხევის თემიდან, სამხედრო ბეგრიდან განთავისუფლების მოწმობა და მეტრიკული მოწმობა მიღებული სოფ. თელეთგორის წმინდა თევდორის ეკლესიიდან. ლუკა ნიკოლოზის ძე გოგილაშვილის სახელზე. გაუქმებულზდ ჩაითვალოს. 4318 3—1

დაიკარგა სარეგისტრაციო მოწმობა № 158 მიღებული ტფ. ქალაქის გამგეობიდან 14 მაისს 1920 წ. არუთინ გასპარის ძე გასპარიანცის სახელზე გაუქმებულად ჩაითვალოს. 4321 3—1

სახელმწიფო სტამბა.

რედაქტორის მოვალ. აღმ. გრიგოლ მაჭავარიანი